რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

პარასკევი, 15 დეკემბერი 1917 წ.

# ბრძოლა

გაზეთი გამოდის ყოველ დღე. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ, Георгіевская ул. № 1, для груз. газ. „Брдзола". კორესპონდენციები და სხვა ყოველგვარი წერილები—რედაქციის სახელზე შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Гановская ул. № 3. Редакція груз. газ. „Брдзола". გაზეთი ღირს წლის ბოლომდი 4 მ., 1 თვით 2 მ. განცხადებები დაიბეჭდება მხოლოდ უკანასკნელ გვერდზე და სტრიქონი პეტიტის ღირს 20 კ.

ფასი 10 კ.

№ 56 რუსეთის ს.-დ. მუშ. პარ. (ბოლშევიკების) კავკ. საოლქო და თფილისის კომიტეტების ორგანო. № 56

# შეწყდა ხოცვა-ჟლეტა

## — დამყარდა დროებითი ზავი —

### ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე და კავკასიის ფრონტზე

**გაუმარჯოს საერთო ზავს, გაუმარჯოს რუსეთის რევოლიუციას!**

---

## პირველი ნოემბრიდან გაზეთი
# ბრძოლა
## გამოდის ყოველდღიურათ.

| | | |
|---|---|---|
| გაზეთის ფასი: წლის დამლევამდე ღირს | | 2 მ. |
| ერთი თვით | „ | 2 მ. |
| ცალკე ნომერი | „ — | 10 კ. |
| მეგაზეთეებს მიეცემათ ცალი | | 07 კ. |

გაზეთის გამოწერა შეიძლება: 1) „ბრძოლის" და „კავკ. რაბოჩის" კანტორაში, თფილისი, გიორგის ქუჩა № 1.

2) ჩვენი პარტიის თფილისის ოთხივე რაიონის ბიუროში.

3) ჩვენი პარტიის პროვინციის ყველა ორგანიზაციებში.

თფილისის ამხ. მუშებს და გაზეთის გამავრცელებლებს ვთხოვთ გაზეთი მოიკითხონ და გასავრცელებლათ წაიღონ სტამბიდან ყოველ საღამოობით, გარდა კვირა-უქმე დღეებისა. სტამბა—ამხანაგობა „ქართლი" ძველი სემენარიის ეზოში. შესავალი ლორის მელიქოვის ქუჩიდან. რედაქციის ადრესი: თფილისი. განოვის ქ. № 3.

**ამხანაგებო! ხელი შეუწყვეთ ყოველმხრივ „ბრძოლას": მუშათა ორგანო მხოლოთ მუშებისავე ძალღონით და საშუალებით შეიძლება არსებობდეს.**

---

## ბრძოლის მთავრობა

სახალხო კომისარების საბჭო მთელი ქვეყნის ყურადღებას იპყრობს. ის რუსეთის რევოლიუციის ორგანოა, მისი სული და გულია, მისი უძლიერესი იარაღია, მშრომელთა ბანაკი იმედით, სასოებით და ალტაცებით შეყურებს მას, მხარს უჭერს და მედგრათ იცავს მტერთა თავდასხმიდან. ბურჟუაზიის ბანაკი მას უყურებს შიშით, სასოწარკვეთილებით და კბილთა ღრჭენით, ებრძვის და ცდილობს მის დამხობას.

სახალხო კომისარების საბჭო ეყრდნობა არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი ქვეყნის მშრომელთა არმიას. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით—აი რა აწერია მის დროშას. მისი მოქმედების ასპარეზი გაცილებით სჭარბობს რუსეთის საზღვრებს. ის მხნელათ მიაჩნია მთელი ევროპის დემოკრატიას, ის ინტერნაციონალისტურია საქმით და არა მარტო სიტყვით. მეორე მხრით მის წინააღმდეგ დარაზმულია არა მარტო რუსეთის, არამედ მთელი ქვეყნის ბურჟუაზია. ისიც ინტერნაციონალურ ნიადაგზე დგება დასაბოლოვოთ ერთმანეთს უპირდაპირდება: მთელი ქვეყნის მშრომელთა ჯარი მთელი ქვეყნის მტარვალთა ხროვას.

ძირს ომი, გაუმარჯოს ხალხთა შორის ძმობას—იძახის სახალხო კომისარების საბჭო და საქმით ანხორციელებს ამ დად ლოზუნგს. ორმოცი თვის სისხლის ღვრის შემდეგ მხოლოთ მან შესძლო ხოცვა-ჟლეტის შეწყვეტა და გზა გაუკაფა მთელი ქვეყნის მშრომელი ხალხის გაერთიანებას. აღსდექით თქვენი მტარვალების წინააღმდეგ—მიმართავს ის ყველა ქვეყნების მშრომელთ,—დაამხვეთ მათი ბატონობა და დაამყარეთ მშრომელ ხალხთა ძმური კავშირი. ეს მოწოდება აღწევს თავის მიზანს, მშრომელნი ირაზმებიან საკუთარი მტარვალების წინააღმდეგ. მაგრამ შეძრწუნებული ბურჟუაზიაც ფეხზე დგება და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვის ემზადება. ის ხედავს, რომ მშრომელი ხალხი გამოფხიზლდა და ერთმანეთის სისხლს აღარ დაღვრის ბურჟუაზიის გასამდიდრებლათ, მისთვის ახალი ქვეყნების დასაპყრობათ პირიქით ახლა ხალხმა უკვე შეიგნო, რომ უსაშინელესი მტერი საზღვარს შიგნით ყავს და არა საზღვარ გარეთ. და თავის იარაღს სწორეთ მის შესამუსრავათ მიმართავს. ძირს ომი, ძირს სხვა ხალხების ხოცვა და ჟლეტა, ძირს სხვა ქვეყნების დატაცება და შემოერთება. გაუმარჯოს ზავს, გაუმარჯოს ხალხთა შორის ძმობას, გაუმარჯოს ხალხთა თავისუფალ თვითგამორკვევას, ძირს სხვა ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული ომი, გაუმარჯოს საკუთარ ბურჟუაზიის წინააღმდეგ მიმართულ რევოლიუციას.

აშკარათ სჩანს, რომ ომს მხოლოთ რევოლიუცია უღებს ბოლოს. ბურჟუაზიაც გამოდის მის მოსისხლე მოწინააღმდეგეთ. ძირს რევოლიუცია—გაიძახის ის,—ძირს სახალხო კომისარების საბჭო, ბრძოლა მას, ბრძოლა მედგარი და შეუპოვარიო.

რევოლიუციამ თუ დაამარცხა ომი, უეჭველია ის დაამხობს კაპიტალის ბატონობასაც, ის მოსპობს ბურჟუაზიის ფარფაშსაც. და აი ბურჟუაზია ირაზმება ყოველ ერში, ყოველ ქვეყანაში და ემზადება შეერთებული ძალღონით ეკვეთოს რევოლიუციის ბურჯს—სახალხო კომისარების საბჭოს.

უკრაინის რადა ამ მხრით მეტათ დამახასიათებელია. მან მიიღო თვით-გამორკვევის უფლება ოქტომბრის რევოლიუციიდან, მაგრამ ის სწორეთ ამ რევოლიუციის მიერ შექმნილი მთავრობის წინააღმდეგ დაირაზმა, მან თვით-გამორკვევა მოიხმარა არა ეროვნულ ინტერესების დასაცავათ, არა ეროვნული ცხოვრების განსავითარებლათ, არამედ ბურჟუაზიის ბატონობის განსამტკიცებლათ. ერთი ქვეყნის ბურჟუაზია მტერია მეორე ქვეყნის ბურჟუაზიისა, რადგან ისინი ერთმანეთს საქონლის ბაზარს ეცილებიან, მაგრამ ისინი ერთდებიან, საერთო ნიადაგს პოულობენ, როდესაც რევოლიუცია ბურჟუაზიის ბატონობას ემუქრება. და აი ჩვენ ვხედავთ, რომ რადა უკავშირდება მილიუკოვებს, რომლებიც ახშობენ უკრაინის დამოუკიდებლობას, უკავშირდება კალედინებს, რომლებიც თავისი გამარჯვების მეორე დღესვე მოსრესენ და გაანადგურებენ უკრაინის რესპუბლიკას.

სავსებით მართლდება ის შეხედულება, რომ თვითგამორკვევა ბურჟუაზიას უნდა არა ნაციის კეთილდღეობისათვის, არამედ საკუთარი ბაზრის უმეტოქოთ დაპყრობისათვის და ის უფრო მეტ ნათესაობას გრძნობს უცხო ერის ბურჟუაზიასთან, ვიდრე საკუთარი ერის მშრომელ ნაწილთან. როგორც კი მშრომელი ხალხი თავისი ინტერესებისთვის ფეხზე დგება. ბურჟუაზია უმოყვრდება გუშინდელ თავის მჩაგვრელთ საკუთარი ხალხის წინააღმდეგ.

უკრაინისთვის თვით-გამორკვევის უფლების მინიჭებით რუსეთის რევოლიუციამ ძლიერი მტერი შეიძინა უკრაინის ბურჟუაზიის სახით. ეს ადრევე მოსალოდნელი იყო, როგორც ის გარემოება, რომ ევროპის სახელმწიფოთა მთავრობები არ დაუჭერენ მხარს და პირიქით ძლიერაც შეებრძოლებიან რუსეთის მთავრობის საზავო პირობებს. მაგრამ როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში რუსეთის მთავრობა ემყარება ამ ქვეყნების მშრომელ ხალხს, რომელიც უეჭველათ დაუჭერს მას მხარს და უზრუნველყოფს რევოლიუციის გამარჯვებას, როგორც შიგნით, ისე გარეთ.

რევოლიუცია ღრმავდება, ყოველ ერს ის ორ ბანაკათ ყოფს და მათ შეტაკებას აუცილებლათ ხდის. სახალხო კომისარების საბჭო ბრძოლის მთავრობაა, მშრომელ ხალხთათვის ის ამყარებს ზავს და ძმობას, ბურჟუაზიის წინააღმდეგ ის აწარმოებს ომს.

ძირს ხალხთა შორის ომი, გაუმარჯოს ომს ბურჟუაზიის წინააღმდეგ!

---

## უკრაინის რადა.

უკრაინამ თვით-გამორკვევის უფლება მიიღო და თავისი თავი დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გამოაცხადა. მან მიაღწია თავის დიდი ხნის სურვილს რუსეთის რევოლიუციის წყალობით, რომელმაც შებორკა ერების მჩაგვრელი ველიკოროსული ბურჟუაზია და შეძლება მისცა ყველა ერს ისე მოაწყოს თავისი საქმე, როგორც თვით მას საჭიროთ მიაჩნია.

მაგრამ თანამედროვე რევოლიუცია ანთავისუფლებს არა მარტო ერებს, ის ანთავისუფლებს თვით მშრომელ ხალხს კაპიტალის ბატონობისაგან. ამიტომ თუ ერთი მხრით დაჩაგრული ერები ამ რევოლიუციაში ეძებენ თავის ხსნას და კიდევაც პოულობენ მას, დაჩაგრული ერის ბურჟუაზია გაბოროტებით უყურებს მის სოციალურ ხასიათს და აშკარათ ირაზმება რევოლიუციის წინააღმდეგ.

უკრაინის რადამაც ვერ შეიმაგრა თავი და ნაციონალური საქმეების ნაცვლათ თვით-გამორკვევის მეორე დღესვე თა

ვისი კლასობრივი მიზნები წამოაყენა. ეს მიზნები კი უკარნახებს მას, როგორც ბურჟუაზიის ორგანოს, მხარი დაუჭიროს მის გუშინდელ მჩაგვრელს, რუსეთის იმპერიალისტურ ბურჟუაზიას, ძლევა მოსილი რევოლიუციის წინააღმდეგ.

ამნაირათ, თვით-გამორკვევა უკრაინის რადამ ისე გაიგო, როგორც უფლება რევოლიუციონური რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისა. გახდა თუ არა თავისუფალი უკრაინის ბურჟუაზიამ ძლიერათ იგრძნო თავის თავში იმპერიალისტური მისწრაფებანი და მცხოვრებთა დაუკითხავათ რამდენიმე სადავო გუბერნია შეიერთა. ის სავსებით აღიჭურვა გუშინდელი მისი მტრის, რუსეთის ბურჟუაზიის, შეხედულობით და რუსეთის რევოლიუციის წინააღმდეგ მისი პოზიცია დაიკავა. ის დაუკავშირდა კალედინებს, ხელი შეუწყო მათი ჯარების გადაყვანას თავის ტერიტორიაზე, ხოლო გადაჭრით წინააღუდგა რევოლიუციონურ ჯარებს ამავე ტერიტორიაზე გადასვლას. მან ცენტრალური მთავრობის დაუკითხავათ მოხსნა ფრონტიდან უკრაინის ჯარები და ამნაირათ ფრონტზე სრული დეზორგანიზაცია მოახდინა.

ეჭვს გარეშეა. რადა სრულიათ არ გამოხატავს უკრაინის მშრომელი ხალხის მისწრაფებას, რაიცა იმით მტკიცდება, რომ ის სასტიკი წინააღმდეგია ადგილობრივ საბჭოებისა, არ იწვევს მათ სიეზდს და არ უთმობს მათ მთელ ძალა უფლებას. მაგრამ მარტო ეს გარემოება რომ ყოფილიყო, რუსეთის რევოლიუცია მის წინააღმდეგ არ გაილაშქრებდა. ეს კითხვა თავის თავათ გადაწყდებოდა უკრაინის შიგნით გაღვივებულ კლასიაა ბრძოლის ნიადაგზე და რუსეთის რევოლიუცია თავისი ჩარევით არ დააჩქარებდა ამ პროცესს.

მაგრამ რასაც დღეს რადა სჩადის, აშკარა ავაზაკურ თავდასხმას წარმოადგენს რევოლიუციონურ რუსეთზე და ეს უკანასკნელიც გულგრილათ ვერ შეხვდავს მას. რადა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო, ნეიტრალიტეტსაც არ იცავს რუსეთის მიმართ, ის აშკარათ უჭერს მხარს რუსეთის მშრომელი ხალხის მოსისხლე მტრებს—კადეტებს და კალედინებს. მუშების და გლეხების რუსეთმა თავი უნდა დაიცვას კონტრ-რევოლიუციონურ და იმპერიალისტურ მოკავშირეებიდან და ძირიანათ ამოაგდოს მათი ალვირ-ახსნილი ფარფაში.

სახალხო კომისარების საბჭომ გაითვალისწინა რადას მოღალატური პოლიტიკა და ულტიმატუმით მიმართა მას—ხელი აიღოს ამ პოლიტიკაზე და რუსეთის კონტრ რევოლიუციონერებს ნუ ეხმარება. როგორც სჩანს, რუსეთის საქმეებში ჩარევა და მისი ბურჟუაზიისთვის დაპყრობა უფრო მნიშვნელოვან საქმეთ მიაჩნია რადას, ვიდრე თავისი შინაური საქმეების მოწყობა, რადგანაც, როგორც ობორონცების გაზეთები გადმოგვცემენ, ომი რუსეთსა და უკრანას შორის უკვე გამოცხადებულია.

უკრაინის თვით-გამორკვევას მოყვა მისი ბურჟუაზიის კონტრ-რევოლიუციონური თვითგამორკვევა, მაგრამ ეს ფაქტი დააჩქარებს უკრაინის მშრომელი ხალხის რევოლიუციონურ თვით-გამორკვევას და უფრო მჭიდროთ დაუკავშირებს მას რუსეთის და მთელი ქვეყნის მშრომელ ხალხს.

---

## იმპერიალიზმი, როგორც ახალი საფეხური კაპიტალიზმისა.

(გადმოღ. ლენინის წიგნიდან).

### 2. ბანკები და მათი როლი.

ბანკების თავდაპირველი და ძირითადი ოპერაცია გამოიხატება შუამავლობაში ფულის გადახდის დროს. ბანკები იღებენ ვექსილებს მათი პატრონებისაგან და ქისრულობენ ვადაზე გაანაღდებინონ ის მოვალეებს, რაშიაც მცირე გასამრჯელოს იკავებენ თავის სასარგებლოთ. ბანკები ვადამდე ანაღდებენ ვექსილებს, პროცენტების დაკლებით ისტუმრებენ ვექსილის პატრონებს და ვადაზე კი მოვალეებს ახდევინებენ მთელ ჯამს. ბანკები შესანახათ იბარებენ ფულს, რაშიაც მცირე პროცენტს იხდიან და ავალებენ ამ ფულს მომეტებული პროცენტით. ამით ბანკები უმოქმედო, უძრავ ფულს მომქმედ კაპიტალათ აქცევენ, რომელსაც სარგებელი შემოაქვს, ისინი კრებენ და თავს უყრიან პატარ-პატარა ფულის თანხებს და აძლევენ მათ კაპიტალისტების განკარგულებაში.

ბანკის საქმეები ვითარდება და თავს იყრის რამდენიმე დაწესებულებაში,— ხდება ბანკის კონცეტრაცია. ბანკი შუამავალი მძლავრ მონოპოლისტათ იქცევა, რომელიც განაგებს ყველა კაპიტალისტების და წვრილი მესაკუთრეების მთელ ფულის თანხებს. მის განკარგულებაშია ფულის წყარო, რომელიც საჭიროა ამა თუ იმ ქვეყნის და მთელ რიგ ქვეყნების საწარმოვო იარაღებისა და ნედლი მასალისათვის. ეს გადაქცევა მრავალ რიცხოვან უბრალო შუამავლებისა ერთი მუჭა მონოპოლისტებათ წარმოადგენს ძირითად პროცესს, რომლის წყალობითაც ხდება კაპიტალიზმის გადაქცევა კაპიტალისტურ იმპერიალიზმათ.

წვრილ ბანკებს ავიწროებენ და ასპარეზიდან სდევნიან მსხვილი ბანკები, ისე როგორც მსხვილი წარმოება სდევნის წვრილ წარმოებას. განცალკევებული კაპიტალისტები ერთდებიან ერთ კოლექტივურ კაპიტალისტათ.

როცა ბანკი აწარმოებს რამდენიმე კაპიტალისტის მიმდინარე ანგარიშს, ამით იგი ერთი შეხედვით წმინდა ტეხნიკურ, დამხმარე ოპერაციას ასრულებს. ის ამით ეხმარება კაპიტალისტებს თავისი ერთმანეთშორისი ანგარიშები გააწესრიგონ. მაგრამ როდესაც ეს ოპერაციები უზარმაზარ ფორმებამდე იზრდება, აშკარა ხდება, რომ ერთი მუჭა მონოპოლისტები იმორჩილებენ მთელი კაპიტალისტური საზოგადოების სავაჭრო-სამრეწველო ოპერაციებს.

ბანკების შემწეობით მონოპოლისტებს შეძლება აქვთ დაწვრილებით გაიგონ, როგორ მდგომარეობაშია კერძო კაპიტალისტების საქმე, კანტროლი გაუკეთონ მათ, გავლენა იქონიონ მათი საქმეების გაფართოებასა და შემცირებაზე კრედიტის გაფართოებით და შემოკლებით და ბოლოს მთლათ ხელში ჩაიგდონ მათი ბედი, განსაზღვრონ მათი შემოსავლის რაოდენობა, მოუსპონ მათ კაპიტალი ან სწრაფათ და ძლიერათ გაუდიდონ კაპიტალი და სხ.

ბანკები ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში აძლიერებენ და აჩქარებენ კაპიტალის კონცეტრაციის და მონოპოლიების შექმნას.

ამ ნახევარი საუკუნის წინათ მარქსი თავის „კაპიტალში" სწერდა ბანკების შესახებ: „ბანკები საზოგადოებრივ მასშტაბში ქმნიან ფორმებს, მაგრამ მხოლოთ ფორმებს საზოგადო ანგარიშის წარმოებისა და საწარმოვო საშუალებათა საზოგადო განაწილებისას". ეს „საზოგადო ანგარიშის წარმოება" კაპიტალისტთა მთელი კლასისა აშკარათ სჩანს იმაში, რომ გასაოცარი სისწრაფით მრავლდება უდიდესი ბანკების განყოფილებები და კანტორები. მაგრამ ეს „საზოგადო ანგარიშის წარმოება" ეხება არა მარტო კაპიტალისტებს, არამედ წვრილ მესაკუთრეებს, მოსამსახურეებს და მუშების მაღალ ნაწილსაც, რადგან ბანკები მათ ფულსაც იზიდავენ თავისკენ დაანაწილებენ შესაფერ დაწესებულებებში.

ფორმალურათ რომ შევხედოთ საქმეს, უნდა ვცნოთ, რომ იზრდება „საწარმოვო საშუალებათა საზოგადო განაწილება". სამი-ოთხი ბანკი საფრანგეთისა და ექვსი-შვიდი ბანკი გერმანიისა მილიარდებს განაგებენ. მაგრამ შინაარსის მხრით თუ შევხედავთ საგანს, ვნახავთ, რომ ეს განაწილება სრულიადაც არ არის „საზოგადო", ის კერძოა, ე. ი. სავსებით შეეხამება მსხვილ და უმსხვილეს მონოპოლისტურ კაპიტალს, რომელიც ისეთ პირობებში მოქმედებს, როდესაც მცხოვრებთა უდიდესი ნაწილი ნახევრათ მშიერია, მიწათ-მოქმედება საშინლათ ჩამორჩენილია საერთოთ მრეწველობაზე და თვით მრეწველობაში კი ეგრეთ წოდებული „მძიმე ინდუსტრიის" თავს დასწოლია ყველა სხვა დარგებს, სჩაგრავს და ყვლეფავს მათ.

კაპიტალისტური მეურნეობის განსაზოგადოებრივების საქმეში ბანკებს მეტოქეობას უწევენ შემნახველ-გამსესხებელი კასები და ფოსტის დაწესებულებები, რომლებიც უფრო დაფანტული არიან და მეტ ადგილებზე და მიყრუებულ კუთხეებზე ახდენენ გავლენას.

მობარებულ ფულზე შემნახველ-გამსესხებელი კასები 4 და 4 მეოთ. პროც. იხდიან, ამის გამო ფული ბევრი უგროვდებათ და იძულებული ხდებიან „სარფიანათ" მოათავსონ თავისი კაპიტალები, აწარმოვონ ვექსილის ოპერაციები, უძრავი ქონების დაგირავება და სხ. ამნაირათ ბანკების და შემნახველ-გამსესხებელ კასების შუა თითქმის აღარ არსებობს განსხვავება. შეფიქრიანებული კაპიტალისტები მოითხოვენ, რომ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობებს აეკრძალოს წმინდა ბანკის ოპერაციები, როგორიც არის მაგ. ვექსილების დახურდავება, მოითხოვენ შეზღუდულ იქნას საფოსტო დაწესებულებების მოქმედება იმ სფეროში, სადაც ისინი ბანკებს ეცილებიან. ბანკის ტუზები თითქო შიშობენ, მოულოდნელი მხრიდან ხომ არ გვეპარება სახელმწიფო მონოპოლიაო. მაგრამ ეს შიში არ სცილდება იმ მეტოქეობის საზღვრებს, რომელიც არსებობს ერთი იმავე კანცელიარიის ორ სტოლონაჩალნიკს შუა. ვინ არ იცის, რომ შემნახველ-გამსესხებელ კასებში თავ-მოყრილ მილიარდებს იმავე ბანკის კაპიტალის ტუზები განაგებენ; მეორე მხრით, კიდეც რომ განხორციელდეს სახელმწიფო მონოპოლია, ეს კაპიტალისტურ საზოგადოებაში მხოლოთ იმის საშუალება იქნება, რომლითაც მოიმატებს და გაძლიერდება იმ მილიონერების შემოსავალი, ურომლისოთაც მათი გაკოტრება აუცილებელი იქნება.

ძველი კაპიტალიზმის ადგილას, სადაც გამეფებული იყო თავისუფალი მეტოქეობა, ახალი კაპიტალიზმი აღმოცენება სადაც გამეფებულია მონოპოლია, იწვევს სხვათა შორის ბირჟის მნიშვნელობის დაცემასაც- ყოველი ბანკი თავის თავათ ბირჟაა, ის გამეფებულია ბირჟაზე და თვით ასრულებს ბირჟის ფუნქციებს.

ბანკების კონცენტრაციასთან ერთათ მცირდება იმ დაწესებულებათა რიცხვი, სადაც შეიძლება კრედიტის შოვნა. ამის გამო მსხვილი მრეწველობა, რომელიც მუდამ საჭიროებს კრედიტს, დამოკიდებული ხდება რამდენიმე ბანკების ჯგუფიდან. მჭიდრო კავშირი მყარდება მრეწველობასა და ბანკებს შუ, რის გამო ახალი სამრეწველო დაწესებულებები, რომლებიც ბანკის კრედიტს საჭიროებენ, ფრთებს ველარ შლიან.

როცა ბანკი ახურდავებს ამა თუ იმ დაწესებულების ვექსილს, უხსნის მას მიმდინარე ანგარიშს და სხ., ამ ოპერაციებით ის როტის ოდნათაც არ ამცირებს ამ დაწესებულების დამოუკიდებლობას და ბანკი მთელათ უბრალო მოსაშუალეს როლიდან არ გამოდის. მაგრამ როცა ეს ოპერაციები ხშირდება და მტკიცდება, როცა ბანკი თავის ხელში აგროვებს უზარმაზარ კაპიტალებს, როცა მიმდინარე ანგარიშების წარმოება მას, შეძლებას აძლევს დაწვრილებით და ზედმიწევნით შეისწავლოს თავისი კლიენტის მდგომარეობა, ყველა ამის შედეგათ სამრეწველო კაპიტალისტი ბანკის სრულ დამოკიდებულებაში ვარდება.

ამავე დროს ვითარდება პირადი უნია (კავშირი) ბანკებისა მრეწველობის და ვაჭრობის დაწესებულებებთან; ბანკები ყიდულობენ სამრეწველო-სავაჭრო დაწესებულებათა აქციებს, ბანკის დირექტორები შედიან ამ დაწესებულებათა გამგეობაში და ამით ხდება მათი ფაქტიური გაერთიანება.

ბერლინის ექვსი უდიდესი ბანკი თავისი დირექტორების საშუალებით მონაწილეობას იღებდა 344 სამრეწველო საზოგადოებაში თავისი გამგეობის წევრთა საშუალებით კი 407-დაწესებულებაში, მაშასადამე სულ 751 საზოგადოებაში ქონდა მათ მონაწილეობა.

ბანკების „პირად უნიას" მრეწველობასთან ემატება ორივე ამ საზოგადოების „პირადი უნია" მთავრობასთან. უმაღლეს ორგანოში ნება-ყოფილობით აძლევენ ადგილს სახელგანთქმულ პირებს სახელმწიფო სამსახურიდან გამოსულ ჩინოვნიკებს, რომლებიც მეტათ აადვილებენ საქმეს მთავრობასთან ურთიერთობის დროს.

ხდება ერთი მხრით გაერთიანება ანუ შეხორცება საბანკო და სამრეწველო კაპიტალებისა და მეორე მხრით გადაჭარბებული გაზრდა ბანკებისა, როდესაც ისინი იქცევიან „უნივერსალური ხასიათის" დაწესებულებებათ. ეს სრული გამეფებაა ფინანსიური კაპიტალისა.

სავაჭრო-სამრეწველო წრეებში უკვე ჩივიან ბანკების ტერორის წინააღმდეგ. ეს იგივე ჩივილია წვრილი კაპიტალისა მსხვილის წინააღმდეგ, მხოლოთ ახლა წვრილებში მთელი სამრეწველო დაწესებულებები და ხშირათ მათი სინდიკატებიც მოყვებიან ხოლმე. ფინანსიური კაპიტალი ბანკების შემწეობით უძლეველი ხდება.

ძველმა კაპიტალიზმმა მოჭამა თავისი დრო. ახალი გარდამავალ ხანას წარმოადგენს. თავისუფალი ვაჭრობა და მონოპოლია ერთათ ველარ თავსდებიან. თავისუფალი მეტოქეობა გაყვა ძველ კაპიტალიზმს, მონოპოლია სდევნის მას ყველა ასპარეზიდან. მონოპოლია მტკიცეთ მყარდება ბანკში და ძირიანათ სცვლის თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიკას.

მეოცე საუკუნეში დაიწყო ახალი კაპიტალიზმის ხანა, ამ დროიდან იწყება ფინანსიური კაპიტალის გაბატონობა.

# დ ე კ რ ე ტ ი

## სასამართლოს შესახებ.

სახალხო კომისარების საბჭომ დაადგინა:

1. გაუქმდეს დღემდე არსებული სასამართლოს დაწესებულებანი, როგორც საოლქო სასამართლოები, სასამართლო პალატები და უმართებულესი სენატი,—ყველა დეპარტამენტებით, აგრეთვე—ყოველგვარი სამხედრო და საზღვაო სასამართლოები, და მათ მაგიერათ დაარსდეს სასამართლოები, დამყარებულნი დემოკრატიულ არჩევნებზე.

რაც შეეხება გაურჩეველ საქმეების შემდეგ მსვლელობას, ამაზე გამოიცემა განსაკუთრებული დეკრეტი.

შეჩერდება ყველა ვადების მიმდინარეობა, დაწყებული ამ წლის ნოემბრის 25-დან განსაკუთრებულ დეკრეტამდის.

2. შეჩერდეს არსებულ მომრიგებელ-მოსამართლეთა ინსტიტუტის მოქმედება და ნაცვლათ მომრიგებელ-მოსამართლეთა, რომელნიც დღემდე ირჩეოდნენ არა პირდაპირის საარჩევნო წესით, შესდგეს ადგილობრივი სასამართლო ადგილობრივი და მუდმივი მომრიგებელ მოსამართლისგან და ხალხის მხრიდან ორი მორიგე წარმომადგენლისგან, რომლებიც უნდა იყვნენ მოწვეულნი ყოველ სესიაში მორიგე მოსამართლეთა განსაკუთრებულ სიიდგან. ადგილობრივ მოსამართლეებს წინასწარ ირჩევენ პირდაპირის დემოკრატიულის წესით და ვიდრე ეს არჩევნები დაინიშნებოდეს, მათ ირჩევენ დროებითი რაიონები ან სოფლის საზოგადოებანი და სადაც ეს უკანასკნელნი არ არსებობენ—სამაზრო, საქალაქო და საგუბერნიო მუშ. სალდ. და გლეხთა დეპუტატების საბჭოები.

იგივე საბჭოები ადგენენ მორიგე წარმომადგენელთა სიას და ნიშნავენ მორიგე მსაჯულებს ყოველ თითოეულ სესიაში.

ძველი მომრიგებელი მოსამართლენი არ კარგავენ უფლებას, თუ ისინი განაცხადებენ თანხმობას არჩეულ იყვნენ როგორც დროებითი საბჭოებისგან, აგრეთვე დემოკრატიულ არჩევნებზე. ადგილობრივი სასამართლოები სწყვეტენ სამოქალაქო საქმეებს ღირებულებით 3000 მანეთამდის და იმ სისხლის სამართლის საქმეებს, როდესაც დამნაშავეს მოელის ორ წლამდის დატუსაღება ან როდესაც სამოქალაქო დავა არ აღემატება 3000 მანეთს. ადგილობრივი სასამართლოს განაჩენი და გადაწყვეტილება ჩაითვლება საბოლოოთ და სააპელაციო წესით გასაჩივრება არ შეიძლება.

კასსაცია შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავეს გადაწყვეტილი აქვს ჯარიმა არა ნაკლებ ასი მანეთისა, ან დატუსაღება არა ნაკლებ 7 დღისა.

საკასაციო ინსტანციას შეადგენს სამაზრო ყრილობა, ხოლო სატახტო ქალაქებში—სატახტო ყრილობა—ადგილობრივ მომრიგებელ მოსამართლეთა.

ფრონტზე სისხლის სამართლის საქმეებს სწყვეტს ადგილობრივი სასამართლო, რომელსაც ირჩევს პოლკის საბჭო, ან სადაც ეს არ არის. პოლკის კომიტეტი.

3. გაუქმდეს დღემდე არსებული სასამართლოს გამომძიებელთა და პროკურატურის ინსტიტუტები.

გაუქმდეს აგრეთვე ნაფიც ვექილთა და კერძო ვექილთა ინსტიტუტები.

ჯერჯერობით, ვიდრე სრულიათ გარდაიქმნება სასამართლოს წარმოების წესრიგი, წინასწარი გამოძიება შესახებ სისხლის სამართლის საქმისა ევალება ადგილობრივ მოსამართლეს, ერთად ერთს, მხოლოთ რაც შეეხება დატუსაღებას ან სამართალში მიცემას დადასტურებული უნდა იყოს სასამართლოს მთელი შემადგენლობისგან.

ბრალმდებლის, დამცველის და ვექილის როლში შეუძლია გამოვიდეს ყოველ მოქალაქეს, თუ ის უფლება აყრილი არ არის. ბრალდებულის დაცვა საჭიროა აგრეთვე წინასწარ გამოძიების დროსაც.

4. რათა მილებულ იქნეს და მიეცეს შემდეგი მიმართულება, როგორც სასამართლოს დაწესებულებების, გამომძიებლების და პროკურორების, აგრეთვე ნაფიც ვექილთა საბჭოების „საქმეებს" და „წარმოებებს", ამიტომ ადგილობრივი მ., ს. და გლეხთა დეპუტატების საბჭოები ირჩევენ განსაკუთრებულ კომისარებს, რომლებმაც უნდა ჩაიბარონ ამ დაწესებულებათა არხივები და ყოველი მათი ქონება.

გაუქმებულ დაწესებულებათა ყველა უმცროს მოსამსახურე მოხელეებს ევალებათ დარჩნენ თავიანთ ადგილებზე, რათა კომისარების ხელმძღვანელობით შეასრულონ საჭირო მუშაობა. შესახებ საქმის შემდეგი მიმდინარეობისა და ამასთან მისცენ საჭირო ცნობები საქმის მდგომარეობის შესახებ დაინტერესებულ პირებს.

5. ადგილობრივი სასამართლოები სწყვეტენ საქმეებს რუსეთის რესპუბლიკის სახელით და თავიანთ დადგენილებებში და განაჩენებში ხელმძღვანელობენ ჩამოგდებულ მთავრობის კანონებით იმდენათ, რამდენათაც ესენი არ არიან გაუქმებულნი და არ ეწინააღმდეგებიან რევოლიუციონურ სინიდისს და რევოლიუციონურ უფლებრივ—შეგნებას.

**შენიშვნა**: გაუქმებულათ ჩაითვლებიან ყველა კანონები, რომელნიც ეწინააღმდეგებიან, როგორც მ. ს. და გლეხთა საბჭოების ცენტ. აღმ. კომიტეტის დეკრეტებს, მუშებისა და გლეხების მთავრობას, აგრეთვე რ. ს. დ. მ. პარტიის და სოც.-რევოლ. პარტიის პროგრამების მინიმუმებს.

6. მოდავე მხარეებს შეუძლიათ მიმართონ სამედიატორო სასამართლოს, როგორც სამოქალაქო საქმეებში, აგრეთვე კერძო ხასიათის სისხლის, სამართლის საქმეებშიაც. სამედიატორო სასამართლოს წეს-რიგის შესახებ გამოიცემა განსაკუთრებითი დეკრეტი.

7. მოწყალების და უფლების აღდგენა ეკუთვნის სასამართლოს.

8. კონტრ-რევოლიუციონური ძალების წინააღმდეგ ბრძოლაში, რათა იმათ განადგურებისაგან დაცულ იყოს რევოლიუცია და მისი მონაგარი, აგრეთვე „მაროდერებთან," მტაცებლებთან, საბოტაჟთან და სხვა და სხვა ჩარჩების, მრეწველების, მოხელეების და სხ. ბოროტმოქმედებასთან საბრძოლველათ არსდება მუშების და გლეხთა რევოლიუციონური ტრიბუნალები, რომელნიც შესდგებიან ერთ თავმჯდომარისგან და ექვს მორიგ მსაჯულებისგან. ამ უკანასკნელათ ირჩევენ გუბერნიის ან ქალაქის მუშ. სალდ. და გლეხთა დეპუტატების საბჭოები.

ჩამოთვლილ საქმეების წინასწარ გამოძიების საწარმოებლათ იმავე საბჭოებთან არსდებიან განსაკუთრებითი გამაერთებელი კომისიები. ყველა დღემდე არსებული გამომძიებელი კომისიები უქმდებიან. და მათი საქმეები გადეცემათ საბჭოების ახალ კომისიებს.

თავმჯდ. სახალ. კომის. საბ. ვ. ულიანოვი (ლენინი).

კომისარები: ა. შლიხტერი, ლ. ტროცკი ა. შლიაპნიკოვი, ი. ჯუღაშვილი (სტალინი), ნ. ავილოვი (ნ. გლებოვი), პ. სტუჩკა.

---

## ჩააგე ხმალი!

ეი, უგუნურო, რას სჩადიხარ?!
შესდეგ, ქარქაშში ჩააგე ხმალი!
ვის უნდა ჩასცე გულში მახვილი
და დაუხუჭო ორთავე თვალი?
იცი, ვინ არის, ვისკენაც იწევ?!
იცი, ვინ არის, შინელ ჩაცმული?
ჯარის-კაცია—შენი მკვიდრი ძმა,
ქვეყნათ შენსავით მუდამ ტანჯული!
იცი, ვინ არის ხმალს რომ უღირებ
და გინდა ორათ გაუპო თავი?
ის შავი მუშა, შენი ძმა არის,
მასაც შენსავით დღე აქვს შავ-ბნელი.
მაშ, უგუნურო ძმაო, გონს მოდი!
ჩქარა ჩააგე ქარქაშში ხმალი!
მიდი ძმებთან და გადაეხვიე
და გადაგიხადე საქვეყნო ვალი!
გადაეხვიე და შეფიცე კიდეც:
იქნები მუდამ ტანჯულთ ერთგული,
სანამ ამ ქვეყნათ არ დამყარდება
ძმობა, ერთობა და სიყვარული!

**სანდრო გურული.**

---

# მუშათა წერილები

როგორ მესმოდა მე „განმანთავისუფლებელი მოძრაობა".

მე საუბედუროთ ჩემდა არა ვარ ნასწავლი და არც ძალმიძს ვეკამათო სწავლულებს, თეორიტიკოსებს. დაე მეცნიერულ კითხვებზე ჩვენმა იდეურმა ხელმძღვანელებმა გასცენ პასუხი მოწინააღმდეგეებს.

მე ვარ მუშა, ბაზარზე შრომის გასასყიდათ გამოსული, ის მუშა, რომელიც წლებზე ფეხს ვიდგამ ვშრომობ, მაგრამ მაინც მშიერი ვარ. მე ვარ მუშა ბრძოლაში გამობრძმედილი 1903 წ. აქეთ რ. ს. დ. პარტიაში მომუშავე.

ვიმეორებ სოციალისტური მოძღვრება მეცნიერულათ არა მაქვს შესწავლილი, არამედ მუშურად, პრაქტიკულად, ცხოვრების სინამდვილეში. მაგრამ მე მაქვს უფლება ჩემი აზრი გულახდილათ ჩემებურად, მუშურად გამოვთქვა.

განმათავისუფლებელი მოძრაობა ჩვენ მუშების დიდ უმრავლესობას შემდეგნაირად გვესმოდა:

გათვიცნობიერებული პროლეტარიატი და მასთან გალატაკებული გლეხკაცობა, როგორც ავანგარდი, ს. დ. იდეურ ხელმძღვანელობით იერიშს მიიტანდა, ძველ დახავსებულ წეს წყობილებას დაანგრევდა და მის ნანგრევებზე აღმოცენდებოდა ხალხური მართვა გამგეობა, სადაც უპირატესობა მუშათა კლასს უნდა ქონებოდა.

თუ დღევანდელი ჯარი კაცის შინელში გახვეული იგივე გლეხია, იგივე მუშაა, ჩვენ ვიცით, რომ დღევანდელი, რევოლიუცია სწორეთ ისე მოხდა, როგორც ეს გვქონდა წარმოდგენილი, იმიტომ რომ ამ ჯარმა და მუშათა კლასმა თავისი მედგარი ბრძოლით დაამხო ნიკოლოზის ბატონობა, მილეწ-მოლეწა საუკუნოებით დამყარებული წეს-წყობილება, მაშასადამე მუშათა კლასს სრული უფლება ქონდა თავის თავს თითონ დაპატრონებოდა და თითონ მოქცეოდა სათავეში მართვა გამგეობას.

ეხლა ვეკითხები ჩვენს ყოფილ მეთაურებს. ერთ დროს სოციალიზმის თვის თავდადებულ მებრძოლთ, ბ. მენშევიკებს: ნუ თუ ჩვენი მოპოვებული თავისუფლებით ბურჟუაზიის წარმომადგენლების მილიუკოვის, გუჩკოვის და ყველა ჩვენს ისტორიულ მტრებისთვის უნდა ჩაგვეგდო ხელში ქვეყნის მართვა გამგეობა და მიგვეცა საშვალება ისევ ჩვენზე ბატონობის? ვინ მოგვევლინა ბატონ პატრონათ? მშრომელი ხალხის ჭეშმარიტი ჯირისუფლები, თუ ისევ ის სისხლით გაუმაძღარი მილიტარისტული ბურჟუაზია, რომელსაც მხარს უმშვენებდა ცრუ სოციალისტები კერენსკი და სხვა.

დაურღვეველი ფაქტია, რომ ყოველ დროებით მთავრობას მშრომელი ხალხის საკეთილდღეოთ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს.

მიწის საკითხი, რვა საათის სამუშაო დღე, ახსნილ სპეკულიანტების ალაგმვა, რვა თვის განმავლობაში ერთ ადგილას იყო დაბორკილი და ცხოვრებაში არ ატარებდენ.

რუსეთის პროლეტარიატმა და გადატაკებულმა გლეხკაცობამ ეს არა მკითხე აპეკუნები თავიდან მოიშორა და თავის თავს თითონ დაეპატრონა.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო და რასაც ჩვენი ყოფილი სოციალისტები სიხარულით უნდა შეხვედროდნენ, მაგრამ მათ ასეთი მოვლენა უკულმა აუხსნეს მის ხელქვეითებს და სასტიკი იერიში მიიტანეს ამ მართლაც განმათავისუფლებელ მოძრაობაზე.

რატომ შეიმოსენ ეს ვაჟბატონები სამგლოვიარო ძაძით, ეს დღეს ყველა გათვითცნობიერებულ მუშისთვის აშკარა და თვალდანახულია:

ეს ვაჟბატონები თურმე დღემდე იმისთვის უყეფდენ ნიკოლოზის მთავრობას, რომ ეს უკანასკნელი მარტო თავად აზნაურობას და კაპიტალისტურ ბურჟუაზიას მფარველობდა, თბილ ადგილებს მათ სთავაზობდა. ამათ კი ბურჟუაზიის ასეთი განცხრომა შეშურდათ და ამისთვის ესენი ხანდახან თავიანთ ბიუროკრატიასთან ბრძოლის დროს ბურჟუაზიასაც გამოიტანიებდა და ისიც გაუბედავად. დღეს მუშათა კლასმა მათ გამარჯვება მოაპოვებია. ეს შემოდგომის სოციალისტები ქალაქის თავებათ უპრავის „ჩლენებათ" „გრადონაჩალნიკებათ" და თითქმის „ვოენნი გუბერნატორებათ" მოგვევლინა (ქუთაისში). სხვა და სხვა მსუქან ადგილებში და თბილ კაბინეტებში წამოიჭიმენ, ქუჩი გამოიძღეს და ეხლა შენი მუშათა კლასი ფეხებზე კიდიათ. მათ მყუდრო ცხოვრებას და ხალხზე ბატონობას დღეს საფრთხე მოელის, ამ საფრთხეს ისინი ბალშევიკებიდან მოელიან და აი სწორედ ამით აიხსნება ის თავგანწირული ბრძოლა არსებობის

შენარჩუნებისათვის, რომელსაც დღეს ბატ- მენშევიკები აწარმოებენ. მაგრამ მაოთ. თქვენ ვერ გიშველით თქვენს გარეშემო შემოკრებილი რაზმი ადგილობრივ მეშჩანებისა, რომელსაც თქვენ სოციალიზმით აშინებთ და მართლაც ამ დიდებული იდეის ისე ეშინიათ, როგორც თათარს ღორის ხორცის; დანარჩენი თქვენი რაზმი შესდგება იმ მუქთა ხორა პარაზიტებისგან, რომელთაც არაოდეს არ უმუშავნიათ და რა თქმა უნდა სოციალისტურ წყობილებაში სავალდებულო შრომა მათ არაფრათ ეპიტნავებათ. ასეთი არიან დღევანდელი მილიციონერების დიდი უმრავლესობა- მესპირტეები, მიკიტნები, სხვადა სხვა ჯურის სპეკულიანტები და კარტოჟნიკები, რომელნიც ნამდვილ მფაბველს მენშევიკებში ხედავენ. მიცოცხლოს ღმერთმა მენშევიკები! ისინი მშვიდობიანი ხალხია, რა დროის სოციალიზმია, ის არ სჯობი სპირტი ვიყიდო და მონაგები ფულებით ძმა ბიჭებში ვიქეიფო? ასეთ რაზმზე ამყარებენ მენშევიკები თავის იმედებს ბატონობისას, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, ნიღაბ ჩამოფარებულო ცრუ სოციალისტებო, რომ მუშათა კლასი აქაც გამოიჩენს თავის ძლევა მოსილებას და თქვენს ბუნაგსაც დაანგრევს და თქვენაც წაგლეკავს.

**მუშა ესიკელაშვილი.**

## დამფუძნებელი კრება.

### ცრუ ხმების გაბათილება.

ვრცელდება ხმები, თითქო სახალხო კომისარების საბჭო ზომებს ღებულობს, რომ დამფუძნებელი კრება არ შედგეს. ამ ცრუ ხმების გასაბათილებლათ საბჭოს რწმუნებული, კრების კომისარი ამხ. ურიცკი საქვეყნოთ აცხადებს, რომ გადაწყვეტილია დამფუძნებელი კრება იმ წამსვე გაიხსნას, როგორც კი 400-მდე დეპუტატი ჩაეწერება და საჭირო მანდატს წარმოადგენს. 5 დეკემბრამდე სულ მხოლოთ 35 წევრი იყო ჩაწერილი. არჩეული იყო სულ 314 დეპუტატი, ამათგან 170 წევრი ესერია, ხოლო 99 ბოლშევიკი, დანარჩენი 45 სხვა ყველა პარტიების.

### ვინ უშლის ხელს დამფუძნებელ კრების მოწვევას?

კომისარმა ურიცკიმ დამფუძნებელ კრების საარჩევნო ცენტრალურ კომისიაში შემდეგი სიყალბე აღმოაჩინა.

ხსენებული კომისიის კანცელარია ჩუმათ მოწმობებს უგზავნის თურმე პროვინციაში კომისარის დაუკითხავათ ვიღაცეებს. ამის გამო ურიცკი მივიდა კომისიის კანცელარიაში გადასინჯა დავთრები და აღმოაჩინა რა სიყალბე, განკარგულება მოახდინა, რომ გატანილ იქნას იქიდან როგორც დავთრები, ისე კომისიის ბეჭედიც. კანცელარიის მოსამსახურეებს არ მოეწონათ ეს განკარგულება და თავის მხრით გაფიცვა—საბოტაჟი გამოუცხადეს ურიცკის. ურიცკიმ ყველა ისინი სამსახურიდან დაითხოვა.

### ბოლშევიკების ც. კ. და დამფუძნებელი კრება.

5 დეკემბერს შედგა ბოლშევიკების ც. კ. კრება დამფუძნებელ კრების ახლათ ჩამოსულ ბოლშევიკ დეპუტ ტების თანადასწრებით. კრებამ დაადგინა, რომ დამფუძნებელი კრების ბოლშევიკი დეპუტატები პეტროგრადში დარჩნენ და იქიდან არსად წავიდნენ გარდა მოსკოვისა და ერთი დღის სავალზე მდებარე ადგილებ სა.

## რუსეთის ქრონიკა.

### ფინლიანდიის ს. დ. პარტიის მოწოდება.

შვედურ სოციალისტურ გაზეთებში მოთავსებულია ფინლიანდიის ს. დ. პარტიის მოწოდება, სადაც სხვათა შორის ნათქვამია შემდეგი:

,,დღეს რუსეთის სახელმწიფოს მთელი ძალა-უფლება რუსეთის ხალხისა საფსებით სოციალდემოკრატიის ხელშია, იმ სოციალდემოკრატიის, რომელიც მუდამ შეუპოვრათ აღიარებდა ხალხთა თვით გამორკვევის უფლების პრინციპს. იმ ხალხების თვისაც კი, რომელიც ჯერ ისევ საერთაშორისო ომამდე იყვენდაჩაგრულდამონებული. ჩვენ გული გვტკივა და მეტათ შეგვაწუხა იმ ამბავმა, რომ შვეციის ბურჟუაზიის ერთი ნაწილი პროპაგანდას ეწევა, რათა შვეცია შეიარაღებული ძალით ჩაერიოს ომში და მით დააჩქაროს ფინლიანდიის რუსეთიდან ჩამოშორება.

ეს მხოლოთ გაამწვავებდა და ხელს შეუშლიდა ფინლიანდიისა და რუსეთ შორის მოსალოდნელ შეთანხმებას რაიცა ჩვენ აუცილებლათ მიგვაჩნია. შვეციის ჯარებით ფინლიანდიაში დაკავება ერთ უბედურებას კიდევ გამოიწვევდა ფინლიანდელთათვის. სნქმე იმაშია, რომ ფინლიანდიაუი ამას წინათ გამართულმა საყოველთაო გაფიცვამ ბურჟუაზია გააფთრა' ასე რომ მისი ახლანდელი მისწრაფება სურვილი მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ფინლიანდიაში თავისი ულმობელი კლასიური ბატონობა განამტკიცოს. ბურჟუაზიამ კარგათ იცის, რომ ფინლიანდიის პროლეტარიატის დასათურგნათ მას არ ეყოფა საკუთარი ძალღონე, ამიტომ მისი ერთი ნაწილი გარეშე სახელმწიფოს დახმარებაზე ამყარებს თავის იმედებს.''

### სახალხო კომისარის განცხადება.

ჟურნალისტებთან საუბარში სახალხო კომისარმა, სტუჩკამ დამფუძნებელ კრების წევრთა დატუსაღების შესახებ განაცხდა, რომ ეს ფაქტი დეპუტატის უფლებას და ხელშეუხლებლობას სულაც არ ეხება ვინაიდან ხსენებული პირები დატუსაღებულ იქნენ, საშინელი შეთქმულობის მეთაურნი, რომელთა დეპუტატობა შემოწმებული არ ყოფილა, სახალხო კომისარების საბჭო დამფუძნებელი კრების დეპუტატების ხელშეუხლებლობა უფლებას საფსებით ცნობს და აღიარებს.

### რადას კონტრ-რევოლუციონერობა.

უკრაინის რადამ რუსეთის სახალხო კომისარების საბჭოს ულტიმატუმზე განაცხადა, რომ იგი უზურპატორებს პასუხს არ აძლევს და სახალხო კომისარების საბჭოს ძალა-უფლებას არ ცნობს, ამიტომ იგი ბრეს-ლიტოვსკში მორიგებაზე მოსალაპარაკებლათ თავის დელეგაციას არ გაგზავნის და ბოლშევიკებთან თანამშრომლობა არ სურს; თავის უფლებებითი დაიცავს იარაღით ხელში.

### ზავზე მოლაპარაკება. ევროპის საერთო კონფერენცია.

იტყობინებიან, რომ ევროპის ცენტრალურ სახელმწიფოებსა და რუსეთ შორის მოლაპარაკებამ ნაყოფი გამოიღო: შეთანხმდენ, რომ საერთო კონფერენცია მოეწყოს ნეიტრალურ სახელმწიფოს ქალაქში, სახელდობრ—სტოკჰოლმში. 5 დეკემბერს ამის გამო თათბირიც გაიმართა, რომელზედაც შემუშავდა გეგმა, თუ რა უნდა გააკეთოს კონფერენციამ.

### ზავზე მოსალაპარაკებლათ.

5 დეკემბერს ბრესტში წავიდა რუსეთის წარმომადგენელი, პოკროვსკი რომელიც რუსეთის დელეგაციას სახალხო კომისარების საბჭოს სახელით დირექტივებს მისცემს. მას მიაქვს მეტათ საყურადღებო დოკუმენტები. იგი წასვლის წინ დიდხანს ესაუბრა ტროცკის. პოკროვსკი განსაკუთრებულ მინდობილებათა უფლებით არის აღჭურვილი.

### ახალი საბჭო.

შედგა სრულიათ რუსეთის ახალი საბჭო, რომელმაც უნდა განაგოს მთელი რუსეთის ეკონომიური ცხოვრება. ეს მთავარი სახალხო ეკონომიური საბჭო შედგება დაინტერესებულ უწყებათა და მუშათა კანტროლის წარმომადგენელთაგან.

### რევოლიუცია თურქესტანში.

ტაშკენტიდან გაგზავნილი 1 ნოემბრის ცნობები მხოლოთ 5 დეკემბერს მიუღიათ პეტროგრადში. ამ ცნობებით თურქესტანში რევოლიუცია შემდეგნაირათ მიმდინარეობს.

ადგილობრივ საბჭოების ჯარებსა და ძველი დროებითი მთავრობის ლაშქარს შორის ბრძოლა 4 დღის ცახარე ომის შემდეგ 31 ოქტომბერსდასრულდა. კონტრ-რევოლიუციონერები დანებდენ. მათი მეთაურები დატუსაღებულ იქნენ. 15 ნოემბერს შედგა თურქესტანის მხრის ყველა საბჭოთა საერთო ყრილობა ქ. ტაშკენტში, დასრულდა 22 ნოემბერს. სიეზდმა შეადგინა თურქესთანის მხრის ცენტრალური მთავრობა, რომელშიაც შედიან: ბოლშევიკები, მემარცხენე ესერები და მაქსიმალისტები.

## ქრონიკა

ბაქოდან გვატყობინებენ შემდეგს: ჩრდილო კავკასიიდან გამოგზავნილი უკანასკნელი ვაგონები პურის ფქვილით მოვიდა. ბაქოში შიმშილობა უკვე დაიწყო: არაა იმედი რომ ახლო მომავალში პურს მივიღებთ, რადგან ჩრდილოეთ კავკასიაში კალედინ-კარაულოვის კონტრ - რევოლიუციონური რაზმები მძვინვარებენ. ბაქოდან გაგზავნილმა ჯარმა სიმცირის და უიარაღობის გამო ვერა გააწყო რა. საჭიროა ამიერ კავკასიიდან გაიგზავნოს მაშველი რევოლიუციონური ჯარი, რომ კალედინ-კარაულოვის ლაშქარი ალაგმოს და რკინის გზებზე ნორმალური მსვლელობა აღადგინოს.

## პ რ ო ვ ი ნ ც ი ა.

**ფოთი.** სადგურ ფოთის ადგილობრივ მოსამსახურეები დიდიხანია შესისხლხორცებული არიან ძველ მონობა-მორჩილებაზედ და დღეს, ამ ბრწყინვალე დროსაც ვერ აუხდიათ თვალებზე ფარდა, რომ დაგმონ ის ძველი დახავსებული მონობა და ხელი გაუწოდონ მთელი რუსეთის ტვირთ მძიმე პროლეტარიატს მხარი დაუჭირონ მას უდიდეს ბრძოლაში, რომ ჩვენმა მომავალმა ჩვენ ზიზღით არ მოგვიგონოს ბურჟუაზიებთან მხარის დაჭერისათვის.

დღეს, როცა რუსეთის დიდი უმრავლესობა სოციალიზმისაკენ მიექანება, ამ დროს ფოთის ნამცეცა სადგურის სხვა და სხვა დარგის მუშები ზიზღის თვალით უცქერიან, თუ ვინმე აღმოჩნდა ბოლშევიკების პარტიის მიმდევარი და სიცილის კილოით მიმართავენ—ბოლშევიკოვო ვერ გაურჩევიათ თეთრი შავისაგან და ვერც მოყვარე მტრისაგან, ვერ შეუგნიათ რომ ბოლშევიკები მუშათა კლასის თავდადებული დამცველი არიან. კმარა, ამხანაგებო, დროა გონს მოვიდეთ, თორემ მერმე თავში ხელის ცემა გვიანღა იქნება, როცა ბურჟუაზიულ ოთხ. საპყრობილეში ჩავარდებით და დაგვედგმება ტანჯვის მძიმე უღელი.

**ლანირელი.**

### ჯარისკაცთა განცხადება.

ვთხოვთ პატივცემულ ამხანაგებს, ვისაც შეიძლება ზედმეტი ან გადაკითხული ქართული რევოლიუციონური ბროშურები მოეძებნებათ (პარტიული პროგრამები ან სხვა წიგნაკები), შემოსწირონ ქ. ყაზვინის (სპარსეთში) ქართველთა და სომეხთა რევოლიუციონურ ორგანიზაც. კომიტეტს. შემოწირულება მიიღება 18 დეკემბრამდის გაზ. ,,ბრძოლის'' რედაქციაში და ავლაბრის ქუჩა № 10.

ქ. ყაზვინის ქართველ და სომეხთა სამხედრო საორგანიზაციო რევოლიუციონური კომიტეტის თავმჯდომარე

**შაქრო ტალიკაძე.**

## მოწოდება გურულ ამხანაგებისადმი.

11 ნოემბერს, დამფუძნებელ კრების არჩევნების წინადღით რამდენიმე ს. დ. ბოლშევიკის ინიციატივით ქ. ოზურგეთში შესდგა პირველი დამფუძნებელი კრება ადგილობრივი რ. ს. დ. მ. პ. ბოლშევიკების ჯგუფისა. ჯგუფი მოქმედებს და მის წინაშე მრავალი საჭირბოროტო კითხ ები ისმება, რომლებიც უკვე მომწიფებულია დღეს გურიაში და დაუყონებლივ ორგანიზაციულათ გადაჭრას მოითხოვს. ამასთან ერთათ გურიის სხვა და სხვა სოფელში გაფანტულია ბევრი ჩვენი ამხანაგი, რომლებიც მოწყვეტილი არიან ერთმანეთს და ამიტომ საერთო მოქმედობას აშორებულნი. დღევანდელი საპასუხისმგებლო მომენტი ყვითეულ ჩვენგანს მოუწოდებს გამოფხიზლდეს და თავის წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში.

ყველა ზემოხსენებულ მიზეზების გამო ოზურგეთის ჯგუფმა რ. ს. დ. მ. პ. (ბოლშევიკებისა) გადაწყვიტა მოიწვიოს ქ. ოზურგეთში ამა წლის 17 დეკემბერს კვირას, დილის 11 საათზე კონფერენცია ყველა გურიაში მომუშავე ბოლშევიკებისა. ჯგუფი იმედოვნებს, რომ ამხანაგები ყრუთ არ შეხვდებიან ამ მოწოდებას. აუცილებლათ მიიღებენ მხურვალე მონაწილეობას კონფერენციაზე და დაწყებულ საქმეს შესაფერათაც დააგვირგვინებენ.

დღის წეს-რიგი:

1. მოხსენებები ადგილებიდან.
2. მიმდინარე მომენტი.
3. განწყობილება სხვა და სხვა პარტიებთან.
4. ჩვენი პრესა,
5. ორგანიზაცია-
6. სხვა და სხვა კითხვები.

P. s. ეს მოწოდება უმთავრესათ ეხება ორგანიზაციულათ შეუკავშირებელ გურიაში მომუშავე ბოლშევიკებს.

მისამართი მოსალაპარაკებლათ ამხანაგებისთვის: ოზურგეთი, ქალაქის აფთიაქი.

ბიურო ოზურგ. ბოლშევიკური ჯგუფის

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა „ქართლი“, ლორის-მელიქოვის ქუჩა.